KA021714187759113

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108,გ.ჭანტურიას ქ.12
ტელ +995 (32)2 991 088; +995 (32)2 991 089

12 G.Chanturia Str.,0108 Tbilisi,Georgia
Phone:+995 (32)2 991 088; +995(32) 2 991 089

N3/16495 **17 / ივნისი / 2013 წ.**

ააიპ'საქართველოს რეფორმების ასოციაციის' (GRASS)
დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს

მისამართი: ქ. თბილისი, რაზმაძის ქ.№ 15

ბატონო სერგი,

თქვენი 2013 წლის 12 ივნისის №42 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ "ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტთან" 2008 წლის 16 მაისს გაფორმებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება, შეწყდა სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონის 47^2 მუხლისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 10 აგვისტოს N1-1/1633 ბრძანების საფუძველზე. (იხილეთ დანართი)

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს" 2013 წლის 26 თებერვლის N5/4055 და 14 მარტის N5/5675 წერილების თანახმად მიწის /უძრავი ქონების/ საკადასტრო კოდებზე №61.11.21.106; №61.11.02.114 გაუქმებულია სსიპ „ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის" ჩანაწერი უზუფრუქტის უფლების რეგისტრაციაზე.

ასევე გიგზავნით, სსიპ"ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივესიტეტისთვის" გაგზავნილი ბრძანების რეესტრს, რითაც დასტურდება, რომ უნივერსიტეტი წინასწარ ინფორმირებული იყო ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

გაცნობებთ, რომ "საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის და მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ასლი გაიცემა დაინტერესებული მხარის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარდგენის შემდეგ. გადასახდელი თანხა აღნიშნულ შემთხვევაში შეადგენს 27 (ოცდაშვიდი) ფურცლისთვის 2 (ორი) ლარი და 70 (სამოცდაათი) თეთრი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენს მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემთხვევაში, გადმოგეცემათ თქვენს მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

მოსაკრებლის გადახდა შესაძლებელია ნებისმიერ ბანკში შემდეგი რეკვიზიტებით: მიმღები - სსიპ. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. ანგარიში №GE50BG0000000655067100 მიმღები ბანკი - ს/ს. "საქართველოს ბანკი". ბანკის კოდი: BAGAGE22.

ბრძანების დასრულება: საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი.

პატივისცემით,

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს საჯარო ინფორმაციის
ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი პირი

ირაკლი შენგელია